№ 209
1877

# ივერია

№ 209
1903

ოქტომბერი 1, ოთხშაბათი 1903 წ.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ოქტომბერი 1, ოთხშაბათი 1903 წ.

დღესასწაულის გამო შემდეგი ნომერი „ივერიისა“ გამოვა პარასკევს, 3 ოკდომბერს.

პირველ ოქტომბრიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰლირს 3 მან. 50 კაპ.

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ. 25 კ., 7 თვით 6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კაპ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

წარმოდგენა № 5. ტელეფონი № 617

ქართული თეატრი

ხუთშაბათს, 2 ოკდომბერს 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ჭირვეული ცოლის

მორჯულება

კომედია 5 მოქმ. თხზულებ. შექსპირისა, თარგმანი კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ნ. ყიფიანისა.

ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. ბედეანოვი, ვ. გამრეკელ ძე, ნ. გვარამე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, დ. მიხანაშვილი, ს. სვიმონიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია

დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი აკაკი.

ტფილისის სახაზინო თეატრი

რუსთა ოპერა

ანტრეპრიზა მის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

ოთხშაბათს, 1 ოკდომბერს 1903 წელს

წარმოდგენილი იქნება

აიდა

ოპერა 4 მოქმ. 7 სურათად, მუსიკა ვერდისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ბი: მელნიკოვი, კარრი; ბ-ნი დარსკი, ბუხოვეცკი, ფედოროვი, გავრილოვი.

უფროსი რეჟისორი ნ. ნ. ბოგოლიუბოვი.
კაპელმეისტერი ე. დ. ესპოზიტო.

დასაწყისი საღამოს 8 საათზედ.

ანონსი: ხვალ, ხუთშაბათს, 2 ოკდომბერს, წარმოდგენილი იქნება: I «ევგენი ონეგინი», ოპერა 3 მოქ. და 7 სურათად, მუსიკა ჩაიკოვსკისა; ლენსკის პარტიას შეასრულებს მის უდიდებულესობის სოლისტი ნ. ნ. ფიგნერი, პარასკევს, 3 ოკდომბერს წარმოდგენილი იქნება „კარმენ“, ოპერა 4 მოქ. მუსიკა ბიზესი.

ბილეთები იყიდება.

ქუთაისის საქალებო პროგიმნაზიის მთავრობა ამით აცხადებს, რომ სწავლა პროგიმნაზიაში დაიწყება 2 ოქტომბრიდან 1903 წლისა.

პროგიმნაზია არის მესხეთის ქუჩაზედ, ტყეშელაშვილის სახლში.

ხაფიცი ვექილი

გ. ი. ბძელიშვილი

გადავიდა მიხეილის ქუჩიდან ველიკოკნიაჟესკაია ქუჩაზე, როტინოვის სახლში, № 10, (გედევანიშვილის სამკურნალოს გვერდით). მთხოვნელებს მიიღებს ჩვეულებრივ ყოველ დღე შაბათს გარდა საღამოობით 7-დგან 9 საათამდე.

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 სათამდის და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის კვირა-უქმე დღეებში 9—2-დის და საღამ. 5—7-მდის. (წლ.)

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „წერა-კ. გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

1.

წიგნის ისტორია

შედგენილი დ. კარიჭაშვილის მიერ
14 სურათით. 64 გვ. ფასი 20 კაპ.

2,

დანიელ დეფოს

რობინზონ კრუზე

მეორე გამოცემა მრავალის სურათით.
162 გვ. ფასი 30 კ.

წიგნების დაბარება შეიძლება ფას-დადებითაც: Тифлисъ, Общество грамотности.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირდღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდე ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

მ. გ. ავეტისიანცი. 10—11 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთ ავადმყოფობანი.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

ვ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანის და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია).

ლ. ვ. ბარტოლდი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ვ. ს. ლევი. 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი ა. ი. ჩერბინინა. 7—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

ვ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

გ. ა. ნავასარდიანი. $8^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. უკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана*. Тифлисъ противъ памятн. Воронцова.

(წლ.)

კერძო სამკურნალო

ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჭიჭინაძე. კბილის სნეულებანი 8 საათიდგან 10 საათამდე

ლ. ი. კამოევი. საშარდ., ვენერ. და სიფილ 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილებისა 10—11 საათ.

ა. გ. მალალაშვილი. შაკ. და შინაგ. 10—11 ს.

ლ. მ. მოჩინი. ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი მ. კ. იოსელიანი—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

გრ. ვ. სოგოლევსკი—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

საღამოთი:

ა. გ. მალალაშვილი. შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

(წ.)

46—8 ტელეფონი № 274

## ტფილისი

დღეს, 1 ოკდომბერს, კავკასიის მთავარმართებელი ჩვეულებისამებრ მთხოვნელებს არ მიიღებს, რადგანაც უქმეა.

როგორც „კავკაზს“ დეპეშით ატყობინებენ, უმაღლესად ებოძათ წმ. სტანისლავას ორდენი მეორე ხარისხისა: სამეგრელოს პოლკის პოდპოლკოვნიკს იოსელიანს, დრაგუნის ნიჟეგოროდის პოლკის პოდპოლკოვნიკს წერეთელს და არტილერიის ბრიგადის პოდპოლკოვნიკს ლოლობერიძეს.

რამდენად კარგად არის დაყენებული ტფილისის საქალაქო ოთხკლასიან სასწავლებლების საქმე, შემდეგი სამწუხარო ამბავი ამტკიცებს: ამიერკავკასიის სამოსწავლო ინსტიტუტში აქამომდე მომეტებულ ნაწილად იმ ყმაწვილებს იღებდნენ, რომელთაც საქალაქო სკოლებში სწავლა დაუმთავრებიათ. ყველას ეგზამენს აჭერინებდნენ და, მართალია, ბევრი ჩაიჭრებოდა ხოლმე, მაგრამ ბევრიც ეღირსებოდა ინსტიტუტში შესვლას. ტფილისში რამდენიმე საქალაქო სასწავლებელია. წელს არც ერთი შეგირდი ამ სასწავლებლებისა ვერ შევიდა ინსტიტუტში, რადგან გამოცდის დროს საჭირო ცოდნა ვერ გამოიჩინეს. თვით ინსტიტუტთანაც არსებობს ოთხკლასიანი საქალაქო სასწავლებელი და ამ სკოლიდგანაც-კი არც ერთი შეგირდი არ მიიღეს ინსტიტუტში.

სამხედრო სასამართლოს პროკურორს ჩაუბარებია პლასტუნის ბატალიონის ხორუნჟ გენზელისათვის გამამტყუნებელი ოქმი ჯავრიშვილის მკვლელობის გამო, რომელიც წარსულ ზაფხულს მოხდა ტფილისში, გოლოვინის პროსპექტზედ.

შავის ზღვის ნაპირას განზრახულ რკინის გზის გამოკვლევა სრულიად შეჩერდა. დაბალი მოხელენი სულ დათხოვნილ არიან და სხვებიც მალე მიატოვებენ საქმეს.

სახალხო ლექციების მომწყობ საზოგადოების გამგეობას ექმნება ბჭობა სამშაბათობით, საღამოს 8 საათზედ, დედათა გიმნაზიის დარბაზში, ანასტასიას ქუჩაზე. არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

ტფილისის ქალაქის საბჭოს დადგენილებისამებრ, ყოველ წელს 200 მანეთი ეძლევათ იმ ღარიბ მოსწავლეებს, რომლებიც ტფილისის რეალურ სასწავლებელში დაამთავრებენ სწავლას და მოინდომებენ მაღალ სასწავლებელში შესვლას. წელს მხოლოდ ერთს ახალგაზდას მიუცია თხოვნა ქალაქის გამგეობისათვის ამ სტიპენდიის დანიშვნის შესახებ. ნუ თუ მეტი მსურველი არ არის!

მიწად მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა მინისტრის რწმუნებულის თანაშემწე შიმანოვსკი ერევნის გუბერნიიდან დაბრუნდა ტფილისს.

8 ოკდომბერს ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად საქმე სელივან სტურუასი, კობაძისა, ბოტკოველისა და სხვ., რომელთაც ჰბრალდებათ უწესოების მოხდენა ტფილისში 16 ივლისს.

ქუთაისს უკვე წავიდა სამხედრო სასამართლოს განყოფილება ფოთის ხაზინის გამძარცველთა საქმის განსახილველად.

ჩვენა გვთხოვენ დავბეჭდოთ შემდეგი: „ყაზბეგის“ ქალთა სკოლის გამგეობამ მიიღო თიონეთის სკოლის მასწავლებელ გერასიმე იმნაიშვილისაგან 25 მან. 90 კ., რომელიც მან შეკრიფა თიონეთში და ახმეტაში ყაზბეგის სკოლის სასარგებლოდ. გამგეობა გულითადს მადლობას უცხადებს, როგორც თვით ბატონ გერ. იმნაიშვილს, ისე იმათ, ვინც ეს ფული შემოსწირა. შემომწირველნი: ექიმი ლ. ჯავახიშვილი 5 მ., თ-დი ვახ. ბარათაშვილი 2 მ. თ-დი ყარალაშვილი, ნ. ფურცელაძე, ი. ოზიერაშვილი, ს. აფშინაშვილი, ალ. გოჯიაშვილი, დ. როსტომაშვილი, შაქრო სარქისოვი, მღ. გრ. წიკლაური, გიორ. ნამორაძე, კნ. ნინო ჩოლოყაშვილი, ალ. ანტ. ჩიქოვანი, ს. თურქესტანიშვილი, ალ. როსტაშვილი და ბ-ნი ყორღანოვი—თითო მანეთი; გიორ. გოჯიაშვილი, ი. ბომიშვილი, ივერისპირელი, გორელი, ანტ. ზ. კიკიანი, თელაველი და № ათ-ათი შაური და მჭედლიძე—40 კაპ. სულ 25 მ. 90 კ.

—

### „რაამბავია“

ტფილისის საბჭოს კრების გამო.

(ნეტარ არიან უბადრუკნი გონებით, რამეთუ მათ ტფილისის საბჭო დაიმკვიდრონ).

ამას წინად ერთმა ნაცნობმა ერთს ამხანაგობაზე მითხრა:

— საკვირველია, ღმერთმანი, ცალკ-ცალკე რომ აიღო ყოველი ჩვენგანი, რიგიანი კაციაო, ხოლო ერთად ჩვენისთანა უზნეო, უპირო და გაუტანელი არ შეიძლებაო.

მე მკვახედ ვუთხარი:

— არა, შვილოსა, თუ ერთად თქვენი კრებული არ ვარგა, არც თქვენ იქნებით კარგის სულისა-მეთქი...

ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ლამის ბოდიში მომახდევინონ ჩემს მეგობართან. ყველას მოგეხსენებათ, რა ნასწავლი, გამჭრიახი და მოხერხებული ხალხი შეკრებილა ეხლანდელს საბჭოში: პედაგოგი, ინჟენერი, დოქტორი, ფინანსისტი, ტეხნიკოსი, იურისტი და სხვა. ყოველს მათგანს რიგიანად მოუწყვია თვისი საქმე, ყოველი ჭკვიან კაცად ითვლება. ხოლო ერთად რომ შეიკრიბებიან, რაღაც ემართებათ და გონებით უბადრუკად გადაიქცევიან. ისეთ როშვას დაიწყებენ, რომ გააშტერებენ. ზოგი ხმოსანი 10—15 წელიწადი ამშვენებს ქალაქის საბჭოს, კვირაში ერთხელ და ორჯელაც ამშვენებს საბჭოს დარბაზს, ცხარედ ლაპარაკობს ქალაქის ინტერესებზედ და, წარმოიდგინეთ, ხმოსანთა უმრავლესობას ქალაქის თვითმართველობის ანა-ბანაც არა სცოდნია. აქამომდე ვერ შეუგნიათ, რა უფლება აქვს საბჭოს, ხმოსნებს, ქალაქის მოურავსა და გამგეობას, რა დამოკიდებულება უნდა არსებობდეს მათ შორის.

მცირე გარემოებამ აღმოაჩინა მათი უვიცობა. 29 სეკდემბრის კრებაზედ საბჭომ განაგრძო განხილვა ქალაქის გამგეობის 1900 წლის ანგარიშისა.

ჯერ ერთი, რა თავის აგდებაა ამდენ ხანს ანგარიშის მიგდება! უბრალო ფორმალიზმი არ არის 1900 წლის ანგარიშის ჩხრეკა სამის წლის შემდეგ, როდესაც ყოველივე მივიწყებულია? მეორე, ჯანი გავარდეს, რაკი თავის დროს ანგარიში ვერ მოსთხოვეს გამგეობას და ვერ განიხილეს, ეხლა მაინც წყალს ნუ ნაყავენ და დროს ნუ ჰკარგავენ, როდესაც ათასი სავალალო საქმე არის დასაწყობი და დასამთავრებელი. აიღონ და დაამტკიცონ რაღაც ანგარიშია.

მესამე, ვის გაუგონია, საბჭოს კრებაზედ წარსულის წლების ანგარიშის ყოველ მუხლის სათითაოდ გაჩხრეკა! წესი და პრაქტიკა მოითხოვს, რომ ანგარიში რევიზიის კომისიამ განიხილოს და თვისი მოხსენება საბჭოს წარუდგინოს, თუ საჭიროა, გამგეობის განმარტებით; ყოველ ხმოსანს შეუძლიან ის ნაწილი წაიკითხოს, რომელიც უფრო ეინტერესება და მის სპეციალურ სწავლა-განვითარებას შეეფერება. ხმოსნებმა წინადვე უნდა იცოდნენ საქმის ვითარება, მით უმეტეს, რომ ანგარიში და ყოველი მოხსენება იბეჭდება და ხმოსნებს ურიგდებათ. წაკითხვა ანგარიშისა სრულიად საჭირო არ არის. რა საჭიროება მოითხოვს, რომ ექიმები ისმენდნენ საინჟენერო ციფრებსა ანუ იურისტები—სამკურნალო საქმეებს. ყოველს ხმოსანს შეუძლიან მხოლოდ ის განაცხადოს და განმარტოს, რაც იმის სპეციალურ ანუ პრაქტიკულ ცოდნას და საქმის ვითარებას შეეხება. ამ წესით შესაძლოა ანგარიში ერთსა და ორს საღამოს დამტკიცდეს და არ გაჭიანურდა მთელ წელიწადს. როდის ღა უნდა განიხილონ 1901 და 1902 წლის ანგარიში? ნუ თუ ორის და სამის წლის შემდეგ. ეს გარემოება, ვგონებ, ნათლად ამტკიცებს ეხლანდელის ქალაქის პატრონების სრულიად მოუმზადებლობას, მეტი რომ არა ვსთქვათ-რა, თუმცა-კი ღირსნი არიან.

ეს კიდევ არაფერი. სხვა გარემოებამ, სრულიად შემთხვევით, აღმოაჩინა ეხლანდელის ბატონების სრული უბადრუკობა და, როგორც ვსთქვით, ქალაქის თვითმართველობის ანბანის უცოდინარობა.

ერთმა ხმოსანმა, სარევიზიო კომისიის წევრმა განაცხადა, თუმცა ჩვენ აღვნიშნეთ რამდენიმე შეცდომა გამგეობისა და საჭიროება რავდენისამე საქმის განკარგებისა, მაგრამ გამგეობას არ აღუსრულებიაო; ამრიგად, რაც 1900 წელს ყოფილა გაფუჭებული, დღესაც ისევ ისე რჩებაო. სხვა ხმოსნებმაც ბანი მისცეს. მაშინ წამოდგა გამგეობის წევრი თ-დი ჩერქეზიშვილი და განაცხადა, ჩვენ გავაკეთეთ, რაც გასაკეთებლად მიგვაჩნდა, ხოლო გამგეობა მოვალე არ არის სარევიზიო კომისიის სურვილი და მოსაზრება აღსრულებაში მოიყვანოსო. კომისიის შენიშვნა ჩვენ ისე მიგვაჩნია, როგორც ყველა ხმოსნისა და კერძო კაცის განცხადება, თუ შესაძლოა სიამოვნებით დავაკმაყოფილებთ, თუ არა და არაო.

ეს ხმოსნებმა საშინლად იტკიცეს, ყვე-

ლი მათგანი ხომ რომლისამე კომისიის წევრია: როგორ თუ მოვალე არა ხარო? მაშ ჩვენ რისათვისღა ვირჩევთო, რაღა ვართ, რა ვქვიანო? ჩვენი ჯგუფი და თავის მტერთა გაზეთის წერილები და ფელეტონები ხომ არ არის, რომ წაკითხოთ და იქით მიაგდოთო,—განაცხადა არჩაყ ბაბოვმა,—გამგეობა მოვალეა ჩვენი აზრი განახორციელოსო.

ატყდა საშინელი ხმაურობა, ღრიანცელი ისმოდა. თუმცა თავ. ჩერქეზიშვილი ბევრს სცდილობდა თავისი აზრი დაემტკიცებინა და კანონის წამოსვლა განემარტა, მაგრამ არც ღრიანცელი წყდებოდა და არც არვინ ყურს აღარ უგდებდა. თავმჯდომარე ბ-ნი ოსტროგრადსკი (ანგარიშის განხილვის დროს ქალაქის მოურავი არ თავმჯდომარეობდა) ზარს აწკარუნებდა, ამშვიდებდა ცხარედ განწყობილ ხმოსნებს, მაგრამ ყურს არვინ უგდებდა.

მაშინ წამოდგა ქალაქის მოურავი თავ. ვ. ნ. არღუთინსკი-მხარგრძელი, რომელიც ხმოსნებთან იჯდა, და განაცხადა: რისა ლაპარაკობთ და ცხარობთ, ბატონებო, რა არის აქ საკამათო? მე და გამგეობაც ყოველთვის მზადა ვართ აღვასრულოთ კომისიის მოსაზრება-სურვილიო. [illegible]

— გადაწყდა, გადაწყდა!— დაიძახეს აქეთ-იქიდან ხმოსნებმა,— სალაპარაკო აღარ არისო.

— მე არ ვეთანხმები ქალაქის მოურავის მოსაზრებას; დამაცადეთ მოგახსენოთ; მე ხომ აქამდის ჩუმად ვიყავი და ყურს გიგდებდით.

მიჩუმდნენ ხმოსნები, მაგრამ ორატორს მაინც აწყვეტინებდნენ სიტყვას.

საქალაქო კანონ-დებულებით ქალაქის თვითმმართველობას ორი ორგანო შეადგენს—საბჭო და გამგეობა, მბრძანებელი და აღმასრულებელი. საბჭოა თავი და თავი მზრუნველი ქალაქისა და გამგეობა მისი დადგენილების აღმასრულებელი. მათ შორის შუამავალი ანუ ბრძანებისა და მოხსენების გადამცემელი არ არსებობს. კომისიებს საბჭო ირჩევს საქმეების შესასწავლად და გამოსარკვევად. კომისიამ თავის მოხსენება რევიზიისა თუ სხვა საგნების შესახებ საბჭოს უნდა წარუდგინოს, რომელიც ან მოიწონებს, ან უარჰყოფს. პირველ შემთხვევაში, უკეთუ საბჭოს დადგენილება გუბერნატორისა და საგუბერნიო საკრებულოს მიერ დამტკიცდა, გამგეობას აღსრულებაში მოჰყავს. საბჭოს კომისიებს არავითარი დამოკიდებულება არა აქვს გამგეობასთან, თვინიერ საქმეების განხილვისა, თუ საჭიროა. კანონ-დებულებით, საბჭოს აქვს უფლება დააარსოს ეგრედ წოდებული, აღმასრულებელი კომისია, რომელმაც გამგეობას შემწეობა უნდა გაუწიოს და, მის ამგიერ, საბჭოს განსაკუთრებული მინდობილობა აღასრულოს, უკეთუ გამგეობა მრავალ საქმეებს ვერ ასდის, ვერ უძლევს. ამ შემთხვევაში კომისია ემორჩილება გამგეობას და მისი თავმჯდომარე გამგეობის წევრად ითვლება მინდობილ რიგულ საქმის განხილვის დროს. კომისია გამგეობას ვერას დაავალებს, პირიქით, გამგეობა აძლევს განკარგულებას, როგორც ყოველ თავის წევრს კერძოდ. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ ერთის წევრის მაგივრად მთელს კომისიას ავალებს საბჭოს მიერ განსაზღვრულ მხოლოდ ერთის საქმის აღსრულებას.

ხმოსანმა მ. ყიფიანმა ეს ანბანური ჭეშმარიტება განმარტა მოკლედ და ნაწყვეტ-ნაწყვეტად, რადგან ხმოსნებმა არ ალაპარაკეს.

ხმოსნები ისევ აიშალნენ. ბ-ნმა ა. ბაბოვმა სთქვა, დავავალოთ გამგეობას წერილებით აცნობოს კომისიას, რა განკარგულება მოახდინა ამა თუ იმ შენიშვნის გამოო.

ქალაქის მოურავმა ისევ ხმა აიმაღლა: ბ-ბო, მე მზადა ვარ ყოველი შენიშვნა კომისიისა ყურად-ვიღო და ავასრულო, ხოლო მიწერ-მოწერისაგან გაგვანთავისუფლეთ, უიმისოდაც ქაღალდებმა სული ამოგვხადაო.

ხმოსანმა ხატისოვმა წაიკითხა თავისი პროექტი საბჭოს რეზოლიუციისა, რომლითაც ავალებდა გამგეობას კომისიის მიერ საჭიროდ ცნობილნი ღონისძიებანი აღსრულებაში მოიყვანოსო.

ხმოსანი თ. დ. მიქელაძე წინააღმდეგი იყო, რადგან ესეთი დადგენილება უკანონოდ მიაჩნდა, თუმცა იმასაც სიტყვა წაართვეს აღელვებულმა ხმოსნებმა.

თავმჯდომარემ განაცხადა, ეგ საგანი ხომ არ იყო დანიშნული განსახილველად, რომ დავადგინოთ რამეო; მე მხოლოდ ანგარიშის განსახილველად ვარ მოწვეული თავმჯდომარედ და, როცა ანგარიშს მოვრჩებით, მაშინ, რაცა გნებავთ, ის დაადგინეთო.

ხმოსანმა ღულაძემ მწუხარება გამოხატა, საათ ნახევარი რიღასთვის გვალაპარაკე, თუ რომ არაფრის დადგენა არ შეგვეძლოო.

ხმოსნები ისევ კამათობაში იყვნენ, რომ თავმჯდომარემ უბრძანა მდივანს, განეგრძო ანგარიშის წაკითხვა. ჯერ არა ისმოდა-რა და შემდეგ ზოგი ხმოსანი დაწყნარდა, ზოგნი-კი დერეფანში გავიდნენ და იქ ლიდხანს ცხარედ კამათობდნენ, თუმცა საერთო აზრს მაინც ვერ დაადგნენ...

ახლა ჩვენ თავის და ვსთქვათ, რა მოვთხოვოთ ისეთს ხმოსნებს, რომლებსაც საქალაქო თვით-მართველობის ანბანი ვერ გაურკვევიათ! რა მოვთხოვოთ ხმოსნებს, რომლებიც საზოგადო ასპარეზზე გამოდიან და თავისი პირდაპირი მოვალეობა ვერ შეუგნიათ! რა მოვთხოვოთ ნასწავლ ხმოსნებს, რომლებსაც ქალაქის თვითმმართველობის დებულებაც-კი არ გადუთვალიერებიათ!..

კარგი იქმნება, მჭევრმეტყველმა ორატორმა, ენციკლოპედიურად განვითარებულმა ხმოსანმა ხატისოვმა, რომელიც საჯაროდ ლექციებსა კითხულობს მსოფლიო მწერლობისა და მოღვაწეობის შესახებ, ყოველ რაგინდარაზედ, თვით მწერლობს და კრიტიკოსობს,—კარგი იქმნება-მეთქი, ერთი კარგი ლექცია წაუკითხოს თავის ამხანაგებს ქალაქის დებულების თაობაზედ...

გავიხსენოთ ამასთან, რომ ამ 1903 წლის სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვა ჯერაც არ არის დამტკიცებული; წელიწადი უკვე გვეთხოვება, შემოსავლელი შემოვიდა, ხარჯი გავიდა, ორი მესამედი მაინც, და ეხლა იჭერენ ვარაუდს, აცა რა შემოგვივა და რა ხარჯი მოგვივაო.

უზადრუკობა არ არის?

ეს იმასა ჰგავს, რომ ჯერ სახლი აიშენო და მერე შეუდგე გამოანგარიშებას, ნეტა რა დამეხარჯება, აიტანს ჩემი ჯიბე თუ არაო; ან შემოსავალი რა ექმნება და ხარჯს შეეფერება თუ არაო? ამისთანა უზადრუკობას არც ერთი ხმოსანი არ ჩაიდენს თავის კერძო საქმეში, ხოლო საერთოდ კი გადაჭარბებულ უზადრუკობას სჩადიან საზოგადო საქმეში...

ერთი საყურადღებო დადგენილება დამავიწყდა.

პირველად საბჭომ, თ-დ ვ. ნ. არღუთაშვილ-მხარგრძელის თავმჯდომარეობით განიხილა საქმე ახალ ქუჩის გაყვანის შესახებ ყორღანოვისა და ოლგის ქუჩებ შუა, იოანე-ღვთისმეტყველის ეკლესიიდგან. კარგა ხანია ეს საქმე სწარმოებს. განზრახულ ქუჩას უნდა დაეთმოს ინჟენერთა გამგებლობის საკუთრებიდგან 72 საჟენი მიწა და ერთ კერძო მამულიდგან ორი საჟენი; ხოლო დანარჩენს უთმობს განსვენებულის სირაჯის მაკაროვის მემკვიდრე თავის მამულიდგან. ქუჩას 4 საჟენი სიგანე ექმნება; ნახევარს მაკაროვი სწირავს; ხოლო 2 საჟენს მოპირდაპირე ინჟენერთა გამგეობა უთმობს, საჟენს 50 მანათად. გამგეობამ ეს ეძვირა და დაადგინა, საბჭომ შუამდგომლობა აღძრას უმაღლეს მთავრობის წინაშე, რომ ინჟენერთა გამგებლობამ იმ ფასად დაგვითმოს მიწა, როგორც დააფასებენო.

ზოგმა ხმოსანმა სთქვა, მაგ ადგილს მიწა ძალიან ძვირია და, თუ საჭიროა, 50 მანათად ავიღოთ, თორემ შეიძლება მეტად დაფასდესო. ბოლოს საბჭომ გადასწყვიტა: ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ სახაზინო მიწა უსასყიდლოდ დაგვეთმოს ქუჩისათვის; ხოლო ბ-ნ მაკაროვს მადლობა გადავუხადოთ შემოწირულობისთვისო.

როგორ მოგწონთ ეს მადლობა?

ბ-ნი მაკაროვი თავის საქმეს ირიგებს, ქალაქს ავალებს, შენ ქუჩა გაიყვანე, რომ ჩემმა მამულმა ერთი სამად და ოთხად აიწიოს ფასში და მე მხოლოდ ქუჩის ნახევარს დაგითმობთო.

სხვა მამულის პატრონები ტფილისში რამდენსა წვალობენ, რომ თავიანთ მამულზე ქუჩა გაიყვანონ და ვერ მოუხერხებიათ. აქ-კი მზად მოსწორებულ მოფენილ ქუჩას მიართმევენ ბ-ნ მაკაროვს და თან მადლობას ეუბნევიან.

უზადრუკობა ეს არის!

## ჩვენებური ამბები

**ს. ძონძირი** (სამეგრელო) მდებარეობს მდინარე ტეხურის მარჯვენა ნაპირზედ. მოსავალს წლეულ კარგი პირი უჩანს, თუმცა გვეგანა ჯერ აგვისტოსა და სეკდემბრის ხშირი წვიმები, მერე ხან გრძლივი ქარი ყველაფერს წაახდენსო... სწავლა-განათლებით ეს სოფელი ძალიან ცუდ მდგომარეობაშია: არც ერთი სკოლა არ მოიპოება. თუმცა მცხოვრებთ რიცხვით იგი არც ერთს მახლობელ სოფელს არ ჩამოუვარდება...

დიდის ვაი-ვაგლახით ამოარჩიეს აქაურებმა ერთი ადგილი ამ რამდენიმე წლის წინად ეკლესიის ასაშენებლად, ეგონათ, კარგი ადგილი არისო, მაგრამ მოსტყუვდნენ. მდინარე ტეხური ნაპირსა სთხრის და ამ ადგილს უახლოვდება. მეორე მხარეს-კი პატარა გუბეს აჩენს. რაც ხანი გადის, მიწა თანდათან ირღვევა და ირღვევა. მცხოვრებნი არავითარ ღონისძიებას არ იღებენ ნაპირის გასამაგრებლად.

პ. კ—ი.

**ქ. ახალციხე.** კვირას, 21 სეკდემბერს, კრება ჰქონდათ ახალციხის სამკითხველოს წევრებს. კრებაზე დაესწრო 6 თუ 7 წევრი. სხვა-და-სხვა საქმეების განხილვის შემდეგ მღ. ქ—შვილმა ჩამოაგდო სიტყვა სამკითხველოს სხვა შენობაში გადატანაზე, იმ მიზეზის გამო, რომ ვითომ სამკითხველოში ზამთრობით ძალიან ციოდეს და ამასთანავე უწესობაც ჰხდებოდეს. მ. მღ. ქ—შვილმა დაასახელა პ. ვართანოვის სახლი, რომელიც ქალაქის ერთ მივარდნილსა და განაპირა კუთხეში არის. კრება ამ წინადადებას დასთანხმდა. ეს დასახელებული შენობა ბევრად უვარგისია ეხლანდელ სამკითხველოს შენობაზე. შორსაც არის და ამასთანავე ბნელიც, ისე რომ დღისითაც-კი სანთლის ანთება მოუნდებათ. ეხლანდელი სამკითხველო-კი ძალიან კარგ ადგილას არის და ქირაც მხოლოდ 35 მანეთია წელიწადში. კრებაზედ მოიწვიეს სახლის პატრონი პ. ვართანოვი ქირაზე მოსალაპარაკებლად. მორიგდნენ 40 მან. წელიწადში. ნოემბრის 1-ს უნდა გადაიტანონ. მეთვალყურეთაც ამოირჩიეს თვით სახლის პატრონი პ. ვართანოვი (60 წლ. კაცია). ჯამაგირი დაუნიშნეს 12 მან. თვეში, მხოლოთ გაზეთებიც უნდა გამოიტანოს ხოლმე.

სამკითხველოს გადატანაზე დიდი მითქმა-მოთქმა ასტყდა მკითხველთა შორის. ეხლა თხოვნა მისცეს და განუცხადეს ბიბლიოთეკის გამგეს, სამკითხველო ძველ ადგილას დარჩესო. იმედია ამ თხოვნას უყურადღებოდ არ დასტოვებენ.

კიდევ შინაური.

## † დეკანოზი ტერ-დავით იარალიანცი.

(ნეკროლოგი)

24 სეკდემბერს გარდაიცვალა ქ. ქუთაისში ყველასაგან ცნობილი და პატივცემული სომეხთ დეკანოზი ტერ-დავით იარალიანცი. ტერ-დავითი იყო შვილი ცხინვალელის მღვდლისა. განათლება მიიღო ტფილისის ნერსესიანის სემინარიაში. შემდეგ სემინარიის დამთავრებისა გაუმწესებიათ გორში მღვდლად.

აქ გამოიჩინა მან ნიჭი და მიიქცია ყურადღება ეპარქიის უფროსისა. რადგან იმ დროს ქუთაისის გუბერნიის სომეხთ სასულიერო საქმე კოჭლობდა და ეძიებდნენ კარგი, ენერგიით სავსე წინამძღოლი, ტერ-დავითი იქმნა დანიშნული ქუთაისის სამრევლო ეკლესიის მღვდლად და მასთანავე ჩაჰბარდა მთელი საბლაღოჩინო ქუთაისის გუბერნიისა.

ტერ-დავითი სიკვდილამდე ჰმართავდა საბლაღოჩინოს. მის ხელში დამთავრდა და გამშვენიერდა ქუთაისის სომეხთა წმ. გიორგის ეკლესია. იგი იყო ფრიად მშვიდი და ერთგული თვისის საქმისა. დაჯილდოვებული იყო ერთგულის სამსახურისათვის, როგორც მთავრობისაგან, აგრეთვე სომეხთა სასულიერო მმართველობისაგან. ამ უკანასკნელისაგან ჰქონდა მიღებული შემდეგი ჯილდოები: კამილავკა, ყვავილებიანი ფილონი, დეკანოზის ჯვარი, არქიმანდრიტის ჯვარი და მრავალი სამადლობელი კონდაკები კათალიკოზისაგან, ნიშნად მისის დაუღალავის მუშაკობისა ეკლესიების და სამრევლო სკოლების დაარსებისათვის.

არ იყო მოკლებული არც მთავრობის ჯილდოებს, მაგ. ებოძა ორდენი წმ. ანნასი მესამე და მეორე ხარისხისა, სტანისლავის ორდენი მეორე ხარისხისა და წმ. ვლადიმერის ორდენი მე-4-ე ხარისხისა.

ტერ-დავითი არ კმაყოფილდებოდა მარტო თავისის სამწყსოს საქმეებით; იგი იღებდა მონაწილეობას უფრო ყოველსავე საზოგადო საქმეში. სამჯერ იყო არჩეული ქუთაისის ქალაქის საბჭოს ხმოსნად და თორმეტის წლის განმავლობაში იღებდა მხურვალე მონაწილეობას საქალაქო საქმეების გარჩევა-განხილვაში. 18 წელიწადი ირიცხებოდა დირექტორად ციხის კომიტეტში და უოველთვის სცდილობდა გაეუმჯობესებია მდგომარეობა პატიმართა. იყო არჩეული ქუთაისის ღარიბთა დამხმარებელ საზოგადოების გამგეობის წევრად და არა ერთი ღარიბი ოჯახი კეთილად იხსენიებს მისს გულმხურვალე მონაწილეობას.

კერძოდ ქუთათურ სომხების წინაშე დიდი დვაწლი მიუძღვის ტერ-დავითის და ამიტომაც დასტოვა მათ შორის სამუდამოდ მოსაგონებელი სახელი.

დამწერი ამა სტრიქონებისა დარწმუნებულია, რომ მისი პირადი მტერიც-კი აქებს და ადიდებს ტერ-დავითის შრომას აქაურ სომხების საქმეთა გაუმჯობესობისათვის.

ვინ არ იცის, რომ ქუთათური სომხები მოკლებულნი იყვნენ ბედნიერებას სომხურ ენის ცოდნისას. ეკლესიაში თუმცა დადიოდნენ, მაგრამ ერთი სიტყვაც არ ესმოდათ წირვა-ლოცვისა და ამის გამო სახარებას კითხულობდნენ ქართულ ენაზედ. მგვიდრმა სომხებმა თითქმის არავინ არ იცოდა სომხური და მათი დედაენა იყო ქართული. ტერ-დავითმა უპირველესად ამას მიაქცია ყურადღება. ერი უენოთ არაფრად არ ვარგაო. მან ნელ-ნელა შეაგონა თვის სამწყსოს, რომ მომავალ შთამომავლობას უეჭველად შეესწავლა სომხური.

# ფელეტონი

## ერთი სცენა

(დრამატიულ პოემიდან: „მწირი-სარდალი“.

**მოქმედნი:**

გიგი, ოცის წლის ჭაბუკი-მწირი.

მართა, გივის დედა.

**მოხუცი.**

სცენა წარმოადგენს პატარა წალკოტს მთის ძირში; პირდაპირ ქვითკირით ამოშენებული წყაროა; მარჯვნივ, მაღლობზე, მოსჩანს მონასტერი.

**გიგი.**

(დრმად შეწუხებული, ნელის ნაბიჯით მონასტრიდან ჩამოდის კოკით ხელში, მიდის წყაროსთან და დაიხრება წყლის ამოსადებად, მაგრამ უცაბედად კოკა მოხვდება ქვას და დაიმტვრევა; გივი შეშფოთებით).

გატყდა! (ასწევს ხელში შერჩენილს კოკის ნაწილს და გრძნობით)

ნეტა შენ, ჩემო მუდმივო
თანამშრომელო, მორჩი წვალებას:
კვლავ ხელს ვერავინ ველარ წამოგკრავს
და ვერ შეგირყევს თავისუფლებას!..
დიდის სამყაროს მცირე ნაწილო,
ჰა, შეუერთდი მშობელს ბუნებას
და საუკუნოდ მიეც სანატრელს,
აღუშფოთებელს, ტკბილს მოსვენებას!
(გაისვრის ნატეხს, ჩამოჯდება ქვაზე და მეორე დუმილს შემდეგ)

ნეტა ვიცოდე მაინც, ვინ იყო
ის ჰშვენიერი, ტურფა, ასული:
სული მაცდური ჯოჯოხეთისა,
თუ ანგელოზი, ცით ჩამოსული?..
რა რიგ ატკბობდა თვალს მისი სახე,
სახე ღვთიური და მადლიანი;
ყურს მისი ნაზი და ნარნარი ხმა
და გონებასა მისი ჭკვიანი
მსჯელობა, არა ცივი და მშრალი,
სულის და გულის აღმფრთოვნებელი,
გრძნობის მომგვრელი, დამაფიქრებელი
და კაცის ცამდე ამმაღლებელი!.
არ ჰგავდა დედას, რომელსაც, მარად
სახე მოღრუბლულს, შუბლ შეჭმუხვნილსა
და წარბებ შეკრულს, მრისხანე კერპებს,
ვერ ათქმევინებ ერთ სიტყვას ტკბილსა!..
ოცის წლისა ვარ და დღევანდლამდის
ლმობიერი და ალერსიანი
ხმა არ მსმენია; დღეს ძლივს პირველად
ვნახე ცოცხალი ადამიანი
და მეც გავცოცხლდი, კაცად ვიქეცი,
აქამდის მხოლოდ ლანდი, აჩრდილი,
როგორც ბერები და დედაჩემი
უსულო თოჯად მთლად გარდაქმნილი!..
(დუმილი).
მკვდარია უქმი სარწმუნოება,
ღმერთს ღვაწლი უნდა, არა სიტყვაო;
როცა ქვეყანას მტერი აოხრებს,
რად მინდა მარტო შენი ლოცვაო?
მართალი არის. რა აქვთ საერთო
ქვეყნისთვის ჯვარცმულს ქრისტეს მოძღვრებას,
კეთილ საქმეთა მარადის მთხოვნელს
და განდეგილურს ჩვენსა ცხოვრებას?..
მის მაგიერ რომ ტანჯულთ ვუშველოთ
და შევიწყნაროთ გაჭირვებულნი,
მხოლოდ ვლოცულობთ და სულ ვლოცულობთ,
ოთხ კედელს შუა დაყუდებულნი.
როდესაც ბევრი ლოცვა-ვედრება
თვით მაცხოვარმა ჩვენ აგვიკრძალა
და ნაცვლად მრავალ მეტყველებისა
მოკლე „მამაო ჩვენო“ გვასწავლა!..
(თავს დახრის და ჩაფიქრდება; ცოტას ხანს შემდეგ გამოჩნდება მოხუცი ჯოხის შემწეობით კოჭლობით მომავალი).

**მოხუცი.**

(მოვა წყაროსთან და გივის)
ოჰ, გამარჯვება შენი, ყმაწვილო!..

**გიგი.**

(აიღებს თავს ზევით, ადგება და მადლს უხდის).
გმადლობ.

**მოხუცი.**

რადა ხარ დაღონებული?

**გიგი.**

(მწუხარებით).
ეჰ, ნულარა მკითხავ!

**მოხუცი.**

შენი ნებაა!
თუმცა, როგორც მამა მოხუცებული,
ამას-კი გეტყვი: შენებრ ჭაბუკი
არ უნდა იჯდეს ჩაფიქრებული,
მაშინ, როდესაც, ვით მეომარი
სამშობლოსათვის ის საჭიროა!
როცა ქვეყანას მტერი აოხრებს,
ერთი მითხარი რა ფიქრის დროა?
შენ-კი არა მეც, მოხუც საპყარსა,
არ მომითმინა გულმა, შინ ვიჯდე,
როცა ომია, და წამოვედი,
რომ ბრძოლის ველზე კიდევ მივიდე!

**გივი** (გაკვირვებით).
როგორ?! ნუ თუ შენც უნდა იბრძოლო?

**მოხუცი.**

რატომ?.. ფეხი მაქვს მხოლოდ წამხდარი
წინად მიღებულ ჭრილობისაგან,
მკლავი-კი ისევ ისე მაგარი
და შევძლებ ბრძოლას!.. ესეც არ იყოს.
ვნახავ მაინცა, ჩემი შვილები
როგორ იბრძვიან და ვაჟკაცობენ—
ჩემგან გაზრდილი და გაწრთვნილები!

**გივი** (დაღონებით).
შენი შვილები ომში არიან?

**მოხუცი.**

ჰო, ორი; ორიც წინად მომიკლეს.

**გიგი.**

ნეტავი იმათ!

**მოხუცი.**

ცოცხლებს, თუ მკვდრებსა?

**გივი.**

ყველას, რომ შენებრ მამა იხილეს!

**მოხუცი.**

შენ არ გყავს მამა?

**გიგი.**

არა, არა მყავს.

**მოხუცი** (ამოიღებს პეშვით წყალს და სვამს).
ვიშ, რა წყალია ეს დალოცვილი!
(გივის)
კიდევ გეტყვი, რომ, როცა ომია
იქ უნდა იყოს შენებრ ყმაწვილი!
(რაც შეუძლია, ჩქარის ნაბიჯით გადის მეორე მხრისკენ).

**გივი** (გააყოლებს თვალებს და გრძნობით)
ეს ბებერიც-კი იქ მიისწრაფვის
და მე აქ უნდა ვიყო!.. ოჰ, ღმერთო,
როს ყველა სდებს თავს მამულისათვის,
ეს ნება მარტო მე რად წამერთო?
ერთის გრძნობითა ყველა სულდგმულობს:
თავადი, გლეხი, დიდი, პატარა,
სუსტი, ძლიერი, ქალი ვაჟკაცი
და თვით უფეხოც ფეხზე დამდგარა,
რომ მშობელს მხარეს, გაჭირვებაში
ჩავარდნილს მტრისგან, რითმე უშველოს,
ან საშინელის ტანჯვისგან იხსნას
და ან თავისი თავი უძსხვერპლოს!
მე-კი... მხოლოდ მე, თუმც შემწევს ღონე,
სხვაზე ნაკლებად არ ვემსახურო,
უნდა სურვილსა გულში ვიკლავდე!
ვიდგე ასე და სეირს ვუყურო!..
რადა და რისთვის?.. რა დავაშავე,
ასე სასტიკად რომ ვიტანჯები;
როგორც ბავშვს, ნება არა მაქვს მქონდეს,
ჩემი სურვილი, ჩემი აზრები?..
არა, როდემდის უნდა ვიყო მე
ნეტავი სხვისი მონა-მორჩილი;
არ შემეძლოს ჩემს ნებაზედ გავლა,
ფეხში მეყაროს მძიმე ბორკილი?.,

ეროვნული ბიბლიოთეკა

აი გაიმართა სკოლა ეკკლესიის გალავანში და ნელ-ნელა დაიწყეს სიარული სომხების ბავშვებმა. ცოტა ხნის შემდეგ მოწაფეთა რიცხვი გამრავლდა და ტერ დავითი შეუდგა სკოლის შენობის აგებას. საჭირო ფული მოაგროვა სკოლის ასაშენებლად. არა ერთ ქართველს მიუღია მონაწილეობა ამ სკოლის შენობის აგებაში და ტერ-დავითის პატივის საცემად შეუწირავს თავისი წვლილი. მისის დაუღალავის მეცადინეობით აშენდა უშვენიერესი ორ-სამ სართულიანი შენობა, რომელიც დღეს ამშვენებს ეკკლესიის გალავანს. ამ სკოლას წყალობით დღეს სომხის ახალთაობამ იცის თავისი დედა-ენა.

ტერ-დავითი იყო ხშირად მსაჯულიც თავის სამწყსოში. შინაური დავა მეზობლებ შორის თუ ნათესავებ შორის უნდა გაერჩია ტერ დავითს და ისეთ მართმსაჯულობას იჩენდა, რომ მისის გადაწყვეტილებით ორივე მხარე კმაყოფილდებოდა.

ათიოდე წლის წინად ტერ-დავითს აუხირდა ერთი ჯგუფი მრევლისა სულ უბრალო საქმეზედ და, რადგანაც ტერ-დავითმა მათი სურვილი პირველ მოთხოვნილებისამებრ არ აასრულა, დაუწყეს საჩივარი. სცდილობდნენ, რომ ტერ-დავითს დაეკარგა არა თუ ქუთაისის მრევლი, არამედ მისის დიდის შრომით მოხვეჭილი სახელიც. ტერ-დავითი არ შეუშინდა იმათ და მედგრად შეებრძოლა. საქმემ მიაღწია კათოლიკოსამდე და ტერ-დავითი თითონ წავიდა ეჩმიაძინში კათოლიკოსის სანახავად და საქმის გარემოების ასახსნელად. კათოლიკოსმა დასტოვა საჩივარი უყურადღებოდ და ტერ-დავითი დაუბრუნდა ისევ თავის სამწყსოს. არა თუ მიუტევა მან ყველას, ვინც კი მის დამხობას სცდილობდა, არამედ შემდეგში იგი იყო მათი ქომაგი და მომხმარე საზოგადო საქმეებში.

ტერ-დავით კარგი მოლაპარაკე იყო, როგორც სომხურად, აგრეთვე რუსულად და ქართულად. მის მჭერმეტყველურ ლაპარაკს არა ერთხელ გაუტაცნია მსმენელი. იგი იღებდა მონაწილეობას როგორც სომხურ გაზეთებში, აგრეთვე ქართულშიაც მაგ. „მნათობსა“ და „შრომაში“. მან გადათარგმნა სომხურიდან ქართულად რამდენიმე პიესა, რომელიც ინახება ხელნაწერად.

დასასრულ, როგორც გავიგეთ, განსვენებულს უანდერძნია ადგილობრივ საქველმოქმედო საზოგადოებისათვის და კერძო კაცთათვის ნაწილი თავისს ქონებისა, მაგრამ სამწუხაროდ რაოდენობა ჯერ არ ვიცით, რადგანაც ანდერძი მისი გაიხსნება შემდეგ დასაფლავებისა. ვეცდებით მკითხველთ ანდერძის შინაარსი ვაუწყოთ.

საუკუნოდ იყოს ხსენება შენი, ერთგულო და სახელოვანო მსახურო შენის ერისა, მამაო დავით!

ერთი პატივის მცემელთაგანი.

# რუსეთი

რუსი ამ ბოლოს ჟამს სიხარულით მიემგზავრება შიდა რუსეთიდამ უცხო ადგილებში; ის წარბსაც არ იხრის, აინუნშიაც არ მოსდის, რომ ანებებს თავს სამშობლოსა, თვის „საგაზდილოსა“.

აი რას ვკითხულობთ ამის შესახებ გაზეთ „ვოსტოჩ. ობოზ.“-ში:

სეკდემბრის ათს ქ. ირკუტსკზე გაიარა რამდენიმე ასმა რუსმა, რომელნიც ბაიკალს იქითა მხარეს სახლდებიან. ესენი მოდიოდნენ ტამბოვის კურსკის და შიდა რუსეთის სხვა გუბერნიებიდან, რომელიც გულია ხვნა-თესვისა. რად გამორბიხართ სამშობლოდამ, რა გაიძულებთ, რომ სტოვებთ საშობლო მიწა-წყალსა? ვკითხეთ ერთს მოხუცებულსაო.

„სამშობლო დედინაცვლად გამიხდა: დესეტინა მიწაზე საიჯარო ფული ოცდახუთ მანეთამდე გაგვიხადეს. ძლიერ გაგვიჭირდა საქმე, საით გადავარდეს კაცი, არ იცის, სწორედ სიკვდილი სჯობიან. მე ხუთი ვაჟი მყავს, სამი ცოლშვილიანია; მიწა კი სულზე რუსეთში სულ სამი დესეტინა მქონდა. ამურის მხარეში კი სულზე 15 დესეტინა მომცეს. მე იქ შიკრიკად ვიყავ წასული, ჩემი სახლობა კი აგერ ორი წელიწადია ამურის მხარეში ცხოვრობს; მე რუსეთში ვიყავ ქონების გასაყიდად. ეხლა ახალს სამშობლოში მივემგზავრები“.

ლაპარაკობდა ამას ერთობ მხიარულად, ეტყობოდა, ბერი კაცი გახარებული იყო, რომ დედინაცვალ სამშობლოს თავი დააღწია. ამ ნაირი მხიარულება მთელს გადასახლებულებს ეტყობოდათ“.

# უცხოეთი

**ავსტრია-უნგრეთი.** ამას წინად მოხსენებული გვქონდა, რას ითხოვდა რადიკალი ჩეხი კლოფაჩი თავის ერისათვის ავსტრიისაგან. კლოფაჩი, სიტყვა, შიმართული მინისტრ-პრეზიდენტის კერბერის წინააღმდეგ, ძალიან მოეწონათ ზოგიერთებს უნგრეთში. უნგრეთის სეიმის დეპუტატს პოლონიის მიელოცნა კლოფაჩისათვის დეპეშით ასეთის გაბედულის სიტყვის წარმოთქმა. კლოფაჩი პასუხად სწერს პოლონიის: მადლობას გიძღვნით თქვენცა და თქვენს მეგობრებსაც, რომ მიხვდით, რა შვილებიც არიან თქვენი და ჩვენი საზოგადო ჯალათნი. განაგრძეთ თქვენი ბრძოლა ნემეცების მიერ ჩვენის დამონავების წინააღმდეგ. მაგ დამონებისაგან თქვენ ჩეხიის სახელმწიფო დაგიხსნით. მხედრობა—ეგ ისეთი დაწესებულებაა, რომლის შემწეობითაც უნდათ თქვენც გაგანემეცონ და ჩვენცა. ნამდვილი ტიპი საცოდავისა და სულმდაბალის ნემეცისა არის მინისტრ-პრეზიდენტი კერბერი. იმის დამხობა სასარგებლო იქნება თქვენთვისაც და ჩვენთვისაცა.

**იაპონია.** იაპონია შეფიქრიანებულია ადმირალის ალექსეევის დანიშვნით ნამესტნიკად შორეულს აღმოსავლეთში. იაპონიის გაზეთები ამტკიცებენ, რომ ალექსეევი ომის მომხრეა და მისი დანიშვნა ნიშანია ომის მომხრე დასის გამარჯვებისა მშვიდობიანობის მომხრე დასზედაო. ადმირალ ალექსეევს ჰყავს 150,000 ჯარი და ფლოტი, რომელიც 200,000 ტონს იტევსო. რუსეთი ისე იქცევა კორეაში, რომ ცხადია უკვე მომზადებულია ჩვენთან საომრად. ჩვენმა მთავრობამ, თუ ომის გადაწყვეტა შეიქმნა საჭირო, არ უნდა დაიხიოს უკან საფინანსო მოსაზრებათა წინაშე. ფული ყოველთვის იშოვის სახელმწიფო, ხოლო სახელი ერისა ძვირფასია ოქროზეო.

**ოსმალეთი.** აი რა ცირკულიარი მისვლიათ ოსმალეთის ჟურნალ-გაზეთებს:

1) ჰბეჭდეთ უმთავრესად ამბები მის უდიდებულესობის, ჩვენის მბრძანებელის ხონთქარის ჯან-მრთელობის შესახებ, აგრეთვე ის ამბებიცა, რომ მოსავალი კარგია ოსმალეთში, ვაჭრობა და მრეწველობა წარმატებაში მიდის;

2) არ დაჰბეჭდოთ არც ერთი ფელეტონი, რომელიც საერო განათლების მინისტრს არ გასიხილავს და არ მოუწონებია.

3) არ დასწეროთ და არც გადმოჰბეჭდოთ უცხოეთში დაბეჭდილი წერილები, არც სალიტერატურო და არც სამეცნიერო. თუ დასწეროთ ან გადმობეჭდოთ, ერთს ნომერშივე გაათავეთ, ორ ნომერში ნუ იქნება განგრძობილი.

4) ერიდეთ ბევრ წერტილების დასმას წერილებში, რათა მკითხველმა ისეთი არა იფიქროს-რა, რაც იმის გონებას შეაფიქრიანებს.

5) ერთი სიტყვა არ წამოგცდეთ ვალისა და მუთასერიფის ბოროტ-მოქმედების შესახებ, თუნდა მართალი იყოს კიდეცა და თუნდა დამტკიცებული იყოს ორთავეს ქურდობა, მექრთამეობა და სხვა ბოროტებანი.

6) არ უნდა გამოაქვეყნოთ პროვინციიდან მოსული რამ კერძო ან საერთო საჩივარი, ხონთქართან გამოგზავნილი, პროვინციის მთავრობისა და მის ბოროტ-მოქმედების შესახებ.

7) არას გზით არ იხმაროთ ისეთი გეოგრაფიული ტერმინები, როგორიც არის «სომხეთი», «მაკედონია», «სირია» და სხვ.

8) ხმა არ ამოიღოთ, რომ მოჰკლეს ან მოკვლა განიზრახეს ამა თუ იმ უცხოეთის ხელმწიფის, კრინტი არ დასძრათ მთავრობის საწინააღმდეგო მანიფესტაციისა ან რევოლიუციის შესახებ სამზღვარ-გარედ, რათა მით არ ჩააგონოთ ბოროტი რამ ზრახვანი მშვიდობიანს, სათნო და თვისის მბრძანებელის ერთგულს ხალხს ოსმალეთისასა.

9) სასტიკს პასუხის გებაში მიეცემა, ვინც წერით ან სიტყვიერად ნართაულობით შეეხება ამ ცირკულიარს.

# თეატრი და ხელოვნება

**რუსული ოპერა.** ორშაბათს სახაზინო თეატრში წარმოადგინეს ლეონკავალოს ორ მოქმედებიანი ოპერა «პაიაცნი» და ორი მოქმედება ბალეტის „კოპელიისა“.

ამ საღამოს ფიგნერის ხმა ძლიერად ჟღერდა და თითქმის ადვილად დასძლია კანიოს კილო შეკიდებული ჰანგი «იცინე პაიაცო»! შთაბეჭდილება, არტისტის მიერ გამოწვეული, იმდენად ძლიერი იყო, რომ თუმცა ფარდა ჩამოუშვეს, ხალხი მაინც არ მოუშვა და გაამეორებინა ეს ადგილი.

ბ-ნი ამირჯანი მღეროდა ტონიოს პარტიას; ასაკიდებელ ადგილებში მისი ხმა მკვეთრია და ხმოვანი, მხოლოდ დაბალ ფარდებში, ცოტა არ იყოს, კიდო ნაკლები და ბუნდოვანია. ამასთანავე არტისტს რაღაც სიმძიმე ეტყობა ხმის ტრიალში, რის გამოც „პროლოგს“ ცხოველ-მყოფელობის ერი ნაკლებად ეტყობოდა. მეორე მოქმედებაში არტისტმა კომიკური ხასიათი თავისის როლისა უღლიფეროდ გადმოგვცა.

ბ-ნი ევლახოვი მოხდენილი სილვიო იყო, როგორც სიმღერით, ისე თამაშობით.

ქ-ნი არციბაშევისა ნედდას პარტიაში უფერული იყო; უსიცოცხლო მიხვრა-მოხვრა და გაუბედაობა სიმღერის დროს ხელს უშლიდა ნედდას ვნებით აღსავსე ხასიათი გაეპიროვნებინა.

წარმოდგენას ხალხი ბლომად დაესწრო.

**რუსული დრამა.** ნემიროვიჩ-დანჩენკოს პიესა «ოქრო» ურიგო პიესა არ არის, თუმცა არც დიდი რამ ღირსება აქვს. ერთი მისი ღირსება ის არის, რომ წინაშე რუსული ცხოვრება გადაგეშლება თვალ-წინ, როცა ამ პიესის წარმოდგენას უცქერი.

აი მოკლედ მისი შინაარსი:

მამიდას ჩაუგდია როგორღაც ხელში თავისი ძმისწულის, მეტად მდიდარი გასათხოვარი უმაწვილი ქალი და ისე მოუმართავს იმისი გული და გონება, რომ უმაწვილს ქალს თითქმის აღარც სურვილი აქვს საკუთარი, აღარც სიმტკიცე ხასიათისა. მამიდა თვითონ განაგებს იმის ფულის გარემოებას არიგებს საქველმოქმედო საქმეებისათვის, ახვევს ქალს გარშემო მახინჯებს, ურუს და მუნჯებს, ათას გვარ დატაკებს, აი ამათ შეეწიე და ჰქმენ სამადლო საქმენიო.

თან, რასაკვირველია, თავის თავსაც არ ივიწყებს და ძმისწულის ფულით მდიდრულად აცხოვრებს თავის შვილსა და რძალს. მამიდას უნდა სულაც ხელში ჩაიგდოს ძმისწულის ქონება და ამიტომ ურჩევს მონაზნად წასვლას, მონასტერში ცხოვრებას, მაგრამ ეს ვერა ხერხდება.

ვრცელდება იან ხმაც, რომ უმაწვილი ქალი ვითომ ჭკუა-ნაკლებია, ჭკუა-შერყეულია. ეს ხმა მიაღწევს ძმის ყურამდე. ძმა დიდი შეძლებულია. 8 მილიონის ქონება აქვს და მოდის, რომ გაიგოს თავის დის ამბავი, მით უმეტეს, რომ ძმას ისიც ეყურება, ჩემის დის ფულს ჰფლანგავენ მამიდა-ჩემი და ჩემი მამიდაშვილიო.

მამიდა ბევრსა სცდილობს ჩააფუჩჩოს საქმე, მაგრამ ვერას ახერხებს. თვით მისი შვილი საშინლად იტანჯება, რომ ასე უნამუსოდ სცხოვრობს და კოჭაობს ბიძაშვილის ფულებით. ვეღარ შესძლებს ბოლოს, მუხლებში ჩაუვარდება უმაწვილს ქალს და შენდობასა სთხოვს. მშიერი მოვკვდები და შენსას ხელს აღარას ვახლებ, ახლო არ მივიკარებო; ცოლს, რომელსაც მდიდრული ცხოვრება უყვარს, თავს ანებებს, მით უმეტეს, რომ იმას ქმარი-კი არ უყვარს, ფუფუნებით ცხოვრება ეხარბება და უსირცხვილოდ ეუბნება პირში ქმარს, თუ ესეთი ცხოვრება არ გექნება, როგორშიაცა ვარ, თავს დაგანებებო.

საცოდავს უმაწვილს ქალს თვალი აეხილება და იგებს ყველაფერს. ახლა მიხვდება რომ ყველანი ატყუებდნენ, პირში ეფერებოდნენ, იმიტომ რომ ოქროს პარკად მიაჩნდათ და არა ადამიანად, სულელად და არა ჭკვიანად. ახლა აღარ ეუბნება ძმას, თავი დაგვანებე, მე მამიდამ შემივრდომა, იმან გამზარდა იმან შემასწავლა ქველი და სამადლო საქმე და რაც იმას უნდა, ის ჩემთვის კანონიაო. ძმა თავისას არ იშლის, მე ნებას არ მოგცემ, ამოდენა საგვარეულო შეძლება გაჰფანტო ფული მე გამოგართმევ და ყოველ წლივ სარგებელი იღე, და, როგორც გინდა, ისე ხარჯეო. მამიდას-კი სამართალში ვიცემ შენის ფულის ფლანგვისათვის, შენის ექსპლოატაციისათვისაო.

მამიდას ნათესავს, ბანკირს ეგნატეს აბარია ყოველი ანგარიში და იმან იცის, რომ ფული ბლომად არის გაფლანგული. აგერ საცაა სიმართლე უნდა გამოირკვეს და მართლმსაჯულების წინაშე უნდა გამოცხადდეს ყოველივე. ეგნატის უყვარს საცოდავი, ტანჯული უმაწვილი ქალი. იმან იცის ყოველივე გარემოება, იცის, რა კარგი ადამიანია ვალენტინა (ეს არის უმაწვილი ქალის სახელი), იცის, როგორ არი გაბრიყვებული და გასულელებული მამიდასაგან, აძლევს ყოველგვარ გონივრულს დარიგებას და უხსნის, რომ მაგრე მადლის ქმნა, როგორც შენ და შენი მამიდა ირჯებით, სისულელეაო. უნდა მიაწოდოთ შემწეობა იმას, ვინც მხნეა, მუშაკი და შემთხვევით გაჭირვებაში ჩავარდა და უფრო არა ფულით, არამედ მუშაობის მიცემითაო. თან სთხოვს, ცოლად წამომყევო. ამ დროს დიდი აურ-ზაური ატყდება უმაწვილის ქალის მამიდასა და ძმის შორის. არის ერთი მუქარა, გახსენება პროკურორისა. მოხუც მამიდას დამის თავზედ ცა დაენგრეს, ისეთი სკანდალია მოსალოდნელი.

და აი, სწორედ ამ დროს გამოაცხადებს ვალენტინა, რომ მე ვთხოვდები, ეგნატეს მივდევ ცოლადაო. ეგნატე ცას ეწევა სიხარულით, ძმა გაოცებულია და ჰფიქრობს, თუ გიჟია ჩემი და, ეს კაცი ხომ ჭკვიანია და რად ირთავსო. მამიდა სასტიკად რჩება. მართალია, ახლა სამართალში აღარ მისცემენ, მაგრამ სამაგიეროდ მის ფართამსაც ბოლო ეღება და ეგნატე დაეპატრონება თავის ცოლის ყოველს ქონებას.

ასე თავდება ეს კომედია ნემიროვიჩ-დანჩენკოსი.

თამაშობით კრასოვის არტისტები ურიგოდ არა თამაშობდნენ: მწყობრად, წესიერად, სრულის შეგნებით და დაფიქრებით ასრულებდა თითოეული თავის როლს. თითოეული წარმომადგენელი იყო ამა თუ იმ ტიპისა, მართალია, არა ნემიროვიჩ-დანჩენკოსაგან პირველად შექმნილისა, მაგრამ წმინდა რუსულის ცხოვრებისაგან გაჩენილისა.

კრასოვის დასი, როგორც ეტყობა, ანსამბლის დასი უფრო. გამოჩენილი ტალანტი არტისტებ შორის არ ურევია, ხოლო ყველანი თითქმის თანაბარის ნიჭისა და ცოდნისანი არიან, მცირედის მეტნაკლებობით.

ვოდევილს აღარ მოვუცადეთ.

# ბიბლიოგრაფია

„Весь Кавказъ“, иллюстрированный справочно-литературный сборникъ, ფასი ხუთი მანეთი ყდით. ტფილისი 1903 წელი.

გამოცემა ესე წარმოადგენს ვეებერთელა ტომსა დიდის ფარმატისას და შესდგება სხვა-და სხვა განყოფილებიდგან. წიგნის თავში ვხედავთ საკალენდარო განყოფილებას, მას მისდევს ცნობათა განყოფილება (справочный отдѣлъ), შემდეგ ადმინისტრაციო განყოფილება. მერე — გეოგრაფიული, მას უკან ისტორიული, ეთნოგრაფიული, სავაჭრო-სამრეწველო, სოციალ-ეკონომიური და ბოლოს სალიტერატურო განყოფილება; სულ ბოლოში ვხედავთ სასურათო განყოფილებას, სადაც მრავალი სურათია მოქცეული ისტორიულის პირებისა და თანამედროვე მოღვაწეებისა.

როგორც თვითონ წიგნის პროგრამიდანა სჩანს, რედაქტორს (ბ-ნს ესაძეს)

---

ვინ მიანიჭა ერთს ადამიანს,
თუნდაც მშობელსა, მისი უფლება,
რომ მეორესა გრძნობა დაუხშოს,
მოუსპოს სრულად თავისუფლება?
არავინ!.. და ვინც ასე იქცევა,
ის მტარვალია სხვისის გონების;
იგი შემქნელი არის ამ ქვეყნად
ყველაზედ უფრო საზარ მონების!
დიახ! . და დედა ჩემიც ამეტებს,
რომ მის სურვილზე მხოლოდ დავყავარ
და ჩემს ნებაზე სუნთქვასაც მიშლის;
ოცის წლის გავხდი, ბალღი ხომ არ ვარ?.
(გადაწყვეტით)
დღესვე... ჰო, დღესვე, როგორც-კი მოვა,
მე ყოველისფერს გამოვუცხადებ
და გადაწყვეტით ვეტყვი, რომ წავალ
საომრად და თავს ქვეყნისთვის დავსდებ!
თუ დამიჯერა და ნება მომცა,
კარგი; თუ არა, წავალ მაინცა...
დე, რაც უნდა, ქნას! აქ ვერ ვეგდები,
როცა საპყარიც ომში გაიქცა!..
(გაივლ-გამოივლის; შემდეგ დადგება ერთს ადგილზედ და ჩაფიქრებული თავს დახრის. შემოდის ნელის ნაბიჯით მართა, რომელიც თუმცა მეტად მოხუცებულია, მაგრამ მხნედ არის და თავი მაღლა უჭირავს)
**მართა**
(მიუახლოვდება გიგის და ცივად)
დილა მშვიდობის, შვილო!
(ჯდება ქვაზე)
დაჯექი!..
დაბადება თან არც დღეს გაქვს განა?
**გიგი** (აღელვებით)
ეჰ, დედი, რა დროს დაბადებაა,
როდესაც სისხლში სცურავს ქვეყანა?
**მართა** (შეშფოთებით)
რაო! რას ამბობ?
**გიგი**
რას და ომია;
ცუდი დღე უდგას თურმე სამშობლოს!
**მართა**
და მერე ჩვენ რა?
**გიგი**
როგორ თუ ჩვენ რა?!
**მართა**
როგორ და ასე!.. იმან იბრძოლოს,
ვინც თავის შველას ფიქრობს სისხლის ღვრით,
ჩვენ-კი ვილოცოთ და შევავედროთ
ჩვენი სული ღმერთს, რომ აქ მშვიდობა
და ნეტარება იქ დავიმკვიდროთ!
**გიგი**
შენ რამდენიც გსურს, დედა, ილოცე,
მე-კი მივდივარ...
**მართა** (აწყვეტინებს)
შენ, ჩემი შვილი
ამბობ ამასა?
**გიგი**
მე ვამბობ სწორედ.
**მართა** (ადგება და მრისხანედ)
ბავშობიდგანვე მწირად აღზრდილი,
საბრალოვ, სტოვებ ღვთის სამსახურსა
და გსურს, აიღო ხელში მახვილი?
დაგავიწყდა, რომ ვინც მახვილს იღებს,
იმავ მახვილით ელის სიკვდილი?..
**გიგი.**
მერე რა ვუყოთ?.. დაე, მტრის ხელით
მამულისა და სარწმუნოების
დაცვის დროს მოვკვდე, მხდომი აღმოფხვრის
ქვეყნად სიავის და ბოროტების!
**მართა.**
შე უბედურო, ქრისტემ არ ბრძანა,
ბოროტებას წინ არ აღუდგეთო:
გიყვარდეთ მტერნი თქვენნი და მხოლოდ
უყოფდით კეთილს თქვენთ მოძულეთო?
რომ სიტყვითაც-კი შეურაცხმყოფი
სხვისი, სცოდავსო?..
**გიგი** (გაცხარებით).
არ ვიცი, არა;
ეგებ, ვსცდებოდე, მაგრამ ჩემს აზრსა
შემაცვლევინებ მაინც ვერარა!
განა თვით ქრისტე არ ბრძანდებოდა,
რომ საჭირო დროს ძალა იხმარა,
და შემწიკვლელნი ტაძრის ვაჭრობით
შოლტისა ცემით კარში გაჰყარა?..
თუ მაცხოვარი ასე მოიქცა,
მაშ, ჩვენ რისთვის-ღა წაგვერთვა ნება,
მამული ვიხსნათ აოხრებისგან
და შებღალვისგან სარწმუნოება?!.
(გაივლ-გამოივლის, ნამეტანის მღელვარებისაგან აფორიაქებული, და შემდეგ ჯდება ქვაზე; მართა ჯერ გაოცებულია, შემდეგ სახე, რომელზედაც სისასტიკე ეხატებოდა მხოლოდ უეცრად ლმობიერებით ევსება, მიირბენს გიგისთან, დავარდება მის წინ მუხლებზე და, მთელის არსებით ერთ ძლიერ გრძნობად გარდაქმნილი, მოხვევს ხელს; გიგი შეკრთება და არ იცის, რა ჰქნას).
**მართა** (ცრემლით სავსე ხმით)
მაშ, აღარ გიყვარს მშობელი დედა
და გირჩევნია მის თავს ქვეყანა?
მე რომ შენს მეტი შვილი არა მყავს,
იმას-კი ბევრი ყავს შენისთანა?..
(ტირილით).
ოჰ, არა, არა, შენ ვერსად წახვალ,
ვერ მოიძულებ უბედურ დედას,
უიმისოდაც მრავალ ტანჯულსა,
რომელიც მხოლოდ შენში-ღა ხედავს
ერთად ერთ ნუგეშს, ერთად ერთ იმედს!..
(გულამოსკვნით ატირდება და თავს დახრის).
**გიგი** (მღელვარებით)
დედა ჩემი და ამგვარი კილო?!
საკვირველია!
**მართა.** (სცდილობს თავის შემაგრებას და მიიახლოვებს გიგის).
ჩემი ხარ, ჩემი
მაცოცხლებელი, და შენს თავს, შვილო,
ვერ დავანებებ, ვერა, ვერავის!..
(მიიკრავს გულზე და მხურვალედ უკოცნის მთელს სახეს).
შენ ჰგენაცვალე, შენ,
(ჰკოცნის).
ჩემო ტკბილო,
(ჰკოცნის).
ჩემო სიცოცხლევ,
(ჰკოცნის).
ჩემო სულის დგმავ!..
**გიგი.** (უეცრად მთელი სახე საშინლად დაემანჭება, გულზე მიიდებს ხელს და ტანჯვით სავსე ხმით).
ვაიმე გული...
**მართა.** (შეშინებული).
შვილო?
**გიგი.** (გულაჩქროლებული)
დედილო?
(ცრემლი ყელში მოებჯინება და დაიწყებს ტირილს; მართა, თვითონაც მტირალი, გულში ჩაიკრავს და რამდენსამე ხანს ასე არიან; მოისმის ზარის რეკა მონასტრიდან).
**მართა.** (გამოერკვევა ზარის ხმაზედ და ცრემლის წმენდით).
აი, ლოცვისაც დარეკეს! ღმერთი
გვიწვევს: მაშვრალნო და ტვირთმძიმენო,
მოვედით ჩემდა და მოგანიჭებთ
მოსვენებას და მშვიდობას თქვენო!
(ადგება და უნდა, გიგიცააყენოს)
წავიდეთ, შვილო, შენი ჭირიმე!
არ გესმის გიგი? (სწევს ზევით)
(მოსწმენდს ცრემლს)
წავიდეთ, კარგი!
(სწევს ღონივრად)
**გიგი** (აჰყვება უნებურად)
სად მიგყევარ, სად?
**მართა** (ხელს გაიწვდენს მონასტრისაკენ)
ლოცვაზე შვილო;
რეკვენ. მიგველის წმინდა გიორგი!..
(მიდის მონასტრისაკენ და თან მიჰყავს გიგი, რომელიც, ეტყობა, რომ ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულა იმაში, რაც მოხდა და თავის თავისთვის ანგარიშ მიუცემლად მისდევს. ზარის რეკა კვლავ ისმის).
(ფარდა ნელა ეშვება).
დუტუ მეგრელი.

და გამომცემელს ფრიად კარგი განზრახვით დაუწყიათ ეს პერიოდული გამოცემა; მათ აზრად აქვთ იკვლიონ ყოველის მხრივ წარსული და აწმყო კავკასიონისა, და მეტადრე საქართველოისა, გავრცელონ ჩვენის ქვეყნის ცოდნა საზოგადოებაში და ხელი მოუმართონ ცნობიერებას, განვითარებას, ჩვენს წინსვლისა, გაუმჯობესობასა. ამ რთულს მიზანს, რასაკვირველია, ერთის წლის შრომით ვერ მოეწევიან. ჩვენი ქვეყნის წარსული ისეთი დაუსრულებელი რვეულია ათას გვარის თავ-გადასავლისა, ახლანდელი ჩვენი მოთხოვნილებანი გაჭირება ისეთი მრავალმხრივანია, რომ საჭიროა ოც წლობით სისტემატიური შრომა და მხნეობა, რათა ყველა ამას მოეფინოს ჯეროვანი ნათელი.

მაგრამ ვერც დიდი შრომა და ვერც სამაგალითო მხნეობა რედაქტორისა და გამომცემლისა ვერას გააწყობს, თუ რომ საზოგადოება გულხელდაკრეფილი დაუწყებს ცქერას, შორიდან, უყურადღებოდ დასტოვებს და არავითარს დახმარებას არ აღმოუჩენს. და სწორედ ასე იქცევა ამ შემთხვევაში ჩვენი საზოგადოება.

სწორედ საოცარი ხალხი ვართ! ვსტირით და ვგოდებთ, ქართველებს არ მოგვეპოვება რუსულს ენაზე ორგანო, გამოცემა, სადაც ჩვენი გაჭირვება შეგვეძლოს, ვაღიაროთ, განვმარტოთ, ვაცნობოთ ქვეყანას, მთავრობას და შესაძლოდ ვქმნათ მისი დაკმაყოფილებაო. არსდება ამისთანა ორგანო, რომელიც მოითხოვს დიდს ხარჯს, დიდს ფულს დიდს უანგარო შრომასა და ჩვენ-კი ყურსაც არ ვიბერტყავთ, ვითომც არც არაფერი დაწყებულიყოს და არც არაფერი გაკეთებულიყოს. აგერ თითქმის მთელი წელიწადია, რაც ეს „Весь Кавказъ“ გამოვიდა და ჩვენმა პრესამ კრინტი სიტყვითაც არ მოიხსენია იგი. გაჩუმდნენ მოსპეციალენი—ისტორიკოსნი და არხეოლოგნი, გაჩუმდნენ კრიტიკოსნი, პუბლიცისტნი, მწერალნი. ეს სიჩუმე და ეს გულგრილობა ვერ შეარყია იმ გარემოებამაც, რომ რედაქტორმა გაზეთის „Кавказъ“ ისამ სწორედ დორბლიინი, ცოფიანი წერილი უძღვნა სარედაქციო განყოფილებაში, ალბად იმიტომ, რომ კონკურენტის დაბადებად ჩასთვალა ამ წიგნის მოვლენა.

უმეტესი ნაწილი დაბეჭდილი წერილებისა ამ გამოცემაში სხვა-და-სხვა სპეციალური წიგნებიდგან არის ამოღებულიო, ამბობს წუნია ხალხი. მართალია, მაგრამ ვის წაუკითხავს ეს სპეციალური წიგნები? ასში მხოლოდ ერთსა, და იმასაც დავიწყებული ექმნება. ასში ოთხმოცდაცხრამეტს არც უნახავს ეს სტატიები და არც წაუკითხნია და ვერც წაიკითხავდა, თუნდაც ძალიან გულითაც მოეწადინა, რადგანაც სპეციალურის გამოცემის შოვნა შეიძლება მხოლოდ დიდს სამეცნიერო ბიბლიოთეკებში, და ისიც არა ყველაში. მაშასადამე, ამ წერილების დაბეჭვა და ამ გამოცემაში თითქმის უდრის ახალის დაბეჭდვასა. გარდა ამისა ამ გამოცემაში არა ერთი და ორი ახალი წერილია მოთავსებული, რომელიც იკვლევს და ნათელს ჰფენს ამა თუ იმ მნიშვნელოვანს საგანსა.

რედაქტორი და გამომცემელი, დარწმუნებული ვართ, სხვებზე ნაკლებად არა გრძნობენ თავიანთ გამოცემის ნაკლულევანებას და ყოველ ღონისძიებას იხმარებენ, რომ შემდეგმა ტომებმა უფრო მეტად დააკმაყოფილონ საზოგადოების მოთხოვნილება. მაგრამ თვითონ საზოგადოებამაც უნდა მხარი მისცეს. მწერლებმა უგზავნონ რედაქციას შესაბამად დასაბუთებული სტატიები, ისტორიულნი გამოკვლევანი, არხეოლოგიური ძიებანი, პუბლიცისტური წერილები, ბელეტრისტულნი ნაწერნი და სხვანი. უნდა გვახსოვდეს, რომ ეს გამოცემა თუ ეხლა წელიწადში ერთხელ იბეჭდება, შემდეგში რამდენჯერმე გამოვა და ადვილად შეიძლება გადაიქცეს იმ რუსულ პერიოდულ გამოცემად, რომელსაც ჩვენ ვნატრულობთ დიდი ხანია.

ვ—ელი.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

29 სეკდემბერი.

**პეტერბურგი.** 18 სეკდემბერს კავკავიდან მიღებულ დეპეშის თანაზე შემდეგს იუწყებიან ოფიციალურად: 17 სეკდემბერს, საღამოს 10 საათზე, ბესლანს ახლო ოსეთის დივიზიონის ცხენის ჯოგი სძოვდა; ჯოგს 4 კაცი უგდებდა ყურსა; 20 მთიელი მიუახლოვდა ჯოგსა და უცებ მწყემს ოსებს დაეცა. 2 თოფი წაართვეს და სროლა დაუწყეს, მაგრამ ოსებმაც თოფი ესროლეს და მთიელები გაიქცნენ; მთიელებმა ერთის ცხენის მოტაცება მაინც მოასწრეს.

**სოფია.** კომისიას ხილმი-ფაშის თავმჯდომარეობით დანგრეულ სახლების განახლებაზე და გაქცეულთა დაბრუნებაზე აქვს მსჯელობა. მაკედონელები არავითარ მნიშვნელობას არ აძლევენ კომისიის მოქმედებას: ეს კომისია ოსმალეთის მთავრობის ნებას ასრულებსო.

**სოფია.** მონასტირის ვილაიეტში რაზმები გაჩნდნენ; ბევრგან დიდი ბრძოლა მოხდა. ამ ამბებმა ილდიზ-კიოსკი შეაწუხა. სამხედრო სამინისტრომ განკარგულება მოახდინა, ჩატალჯი მალე გაამაგრეთ და კიუსტენდილსა და ხარმანლის ახლო საზღვარზე ჯარი შეკრიბეთო.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** არზამასში მორიგი სამაზრო საერობო კრება არ შესდგა, რადგან თავმჯდომარე, თავად-აზნაურობის წინამძღოლი, არ მოვიდა და წინამძღოლის კანდიდატიც არავინ იცის სად წავიდა. ხმოსნები დაიშალნენ.

**ტიხვინი.** საერობო კრებამ დაადგინა: ყველა წოდებამ წინანდებურად ერთ საარჩევნო კრებაზე უნდა აირჩიონ ხმოსნები; ქალებსა და იმ კაცებს, რომლებიც კრებაზე ვერ დაესწრებიან, ნება უნდა მიეცეთ, თავიანთ მაგივრად არჩევანში მონაწილეობის მიღება სხვებს მიანდონ რწმუნების წერილით.

**ხარკოვი.** სამაზრო საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი, სამსახურში ექიმი ქალები იყოლიონ.

**ბერდიანსკი.** ერობამ საექიმო ნაწილში მოსამსახურეთა დაზღვევა შემოიღო.

**სტამბოლი.** რეფორმათა პროექტით მაკედონიაში უნდა დაწესდეს 8 კომისია რუსეთისა და ავსტრია-უნგრეთის კონსულების ზედამხედველობით. კომისიამ უნდა იზრუნოს ახალ რეფორმების განხორციელებისა, გარდახვეწილთა სამშობლოში დაბრუნებისა და იმათთვის საქონლისა, ხორბლისა და საზრდოს შეძენისათვის.

**პარიჟი.** კერძო ცნობები მოვიდა, რუსეთის ფლოტი მესამე დღეა, რაც ჩიფუდან გამგზავრებულა პორტ-არტურს და თან დაბეჭდილი ბრძანება წაუღია. მოსალოდნელია, რომ რუსეთი და იაპონია ჯარს ერთსა და იმავე დროს კორეის სხვა-და-სხვა ადგილებში გადასხამენ გემებიდან.—„ბერლინერ ტაგებლატ“-ი იუწყება, ხელმწიფე-იმპერატორმა რომში წასვლა გადასდოო.

**ლონდონი.** იაპონიის ელჩი იუწყება: საქმეთა მდგომარეობა არ ამართლებს იმ ხმებს, ვითომ რუსეთსა და იაპონიას შუა ომი მოხდებაო.

**სოფია.** ბოლგარიიდან ბევრი გადმოხვეწილი მოდის. სულ 20 ათასი კაცია მოსული.

**ლისაბონი.** აზორის კუნძულებზე დიდი ქარიშხალი ამოვარდა და დიდი ზარალი მოუტანა ხალხს.

**ვენა.** უნგრეთიდან იუწყებიან: გუშინ და დღეს რამდენსამე ადგილას მიწა იძრაო.

30 სეკდემბერი.

**სიმბირსკი.** სიმბირსკის მაზრის კრებამ საჭიროდ სცნო აგრონომის მოწვევა.

**ბაქო.** მოსკოვ-კავკასიის სანავთო საზოგადოებამ კააკეთა ნავთის სადინარი ტბიდამ კასპის ზღვაში, რომელმაც მოქმედება დაიწყო. ორ ვერსნახევრის მანძილზეა გვირაბი გაყვანილი, ტბას ხუთი თვის განმავლობაში დააშრობენ; დარჩება ასორმოცდაათი დესეტინა ნავთიანი ადგილი.

**ჩერნიგოვი.** 28 სეკდემბერს აკურთხეს რეალური სასწავლებლის სახლი, რომელიც დუნინ-ბარკოვსკის ნაანდერძევის ფულით ქალაქის, ერობის და ხაზინის დახმარებით აშენდა.

**კოსტრომა.** საერობო კრებამ გადასწყვიტა ააშენონ სკოლის სახლები ისე, რომ ნახევარი ხარჯი გამოიღოს ერობამ და ნახევარი საზოგადოებამა იმ შემთხვევაში, თუ ხაზინა ტყის მასალას მისცემს.

**რომი.** მოლლას ავანგარდი მზად არის შეესიოს იტალიის სომალილენდს. მთავრობა ყოველ შემთხვევაში ამზადებს ჯარს ერიტრეაში გასაგზავნად. ბენადირში საშიში მდგომარეობაა.

30 სეკდემბერი

**პორტ-არტური.** მეფის მოადგილეს თანდასწრებით პარადი იყო ჯარებისა. მონაწილეობა მიიღო 40,000 კაცმა. დიდებული სანახაობით სტკბებოდნენ ათასობით ხალხი, ბევრი უცხოელი და უცხოეთის ჟურნალ-გაზეთობის კორესპონდენტები. პარადის გათავების შემდეგ, გენერალ-ადიუტანტის ალექსეევის ბრძანებით სავსე სიტყვის პასუხად გაისმა ხელმწიფე იმპერატორის მიმართ აღტაცებული „ურა“. ამ პარადმა დაამშვიდა სხვა-და-სხვა ხმებით შეშფოთებულნი მკვიდრნი.

**პარიჟი.** სტატს-სეკრეტარ პლევეს წერილმა Review ot Reviem-ის რედაქტორის სტედის მიმართ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია პარიჟის მწერლობაში. უმთავრესს გაზეთებში დაიბეჭდა წერილები. ამ წერილებიდან გადაბეჭდეს ვრცელი ადგილები ერთმანერთისაგან. „gie Blos“-ს მოჰყავს მოკლედ შინაარსი წერილისა და ახასიათებს მინისტრის პიროვნებას. იგი სპოლიტიკო საგნებს არგვევს ევროპის წინაშე და ახალს ხანას იწყებსო. „ჟურნალ დე დებამ“ დაბეჭდა გრძელი წერილი შესამჩნევის პუბლიცისტის ებრესი, რომელიც ცნობილია თვისის თანაგრძნობით ფინლიანდიის მიმართ. ავტორი ამბობს, რომ ეგ წერილი დიდის ყურადღების ღირსი საბუთიაო. ევროპა ახლა მიხვდება როგორ უყურებს რუსეთი იმ საგანს, რომლის შესახებაც ბჭობდნენ წინ და წინ აჩემებულ აზრის მიხედვით. „soleil“-ი ამბობს, რომ ფინლიანდიის საქმე საბუთად აქვთ ხელში მცირეოდენს მტრებს რუსეთთან კავშირისასაო. გაზეთს მოჰყავს საბუთები წერილისა, რათა დაამშვიდოს საზოგადოება და ჩააგონოს, რაოდენ სულ-გრძელია იმპერატორის პოლიტიკა. ბოლოს გაზეთი ამბობს, რომ მინისტრის წერილის შემდეგ ცხადად და ნამდვილად არკვევს ფინლიანდიის საქმეს და წარმოადგენს რუსეთის შინაგან პოლიტიკის მიმოხილვასა.

**ლონდონი.** „დეილი მაილის“ შანხაიდგან მიღებული დეპეშის თანახმად, იაპონიის ჯარები, დაწყებულ ხელშეკრულობის უგულებით, გადასხეს მაზანპოსთან პატარა მამულზედ, რომელიც კორეამ იაპონიის მთავრობამ დაუთმო.

**სტამბოლი.** ჩერნოგორიის საქმეთა რწმუნებულმა მოსთხოვა პორტას, უკანვე გაიწვიეთ ოსმალო ჯარები, რომელნიც ჩერნოგორიის საზღვარზედ მდებარე სოფლებში მივიდნენ თოფ-იარაღის წასართმევად და რომელნიც ოთხ-ფეხ საქონელზედ ახალს გადასახადს აწესებენო. ამის გამო საქმე მეტად გამწვავდა და შებრძოლების დროს ქრისტიან მკვიდრთა სისხლის დვრა მოჰხდაო. გარეშე საქმეთა მინისტრი შეჰპირდა, დაუყოვნებლივ განკარგულებას მოახდენ ჯარების უკანვე გაწვევისათვისაო.

**რომი.** იმ ამბავმა, რომ ხელმწიფე იმპერატორმა მოგზაურობა სხვა დროისთვის გადასდო, დიდად იმოქმედა. „ჟურნალ დ'იტალიის“ სასტიკად ჰკიცხავს მთავრობას, რატომ სოციალისტების წინააღმდეგ არა იღონეთ-რაო. მათი მიზეზია, რომ ხელმწიფე იმპერატორის მოგზაურობა დაირღვაო.

**პეტერბურგის ბირჟა** 19 სეკდემბერს

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. . . . . | 93,50 |
| ბერლინში 100 მარკაში . , . . | 45,90 |
| პარიჟში 100 ფრანკში | — |
| ლონდონში ჩეკები . . . . . | 94,45 |
| ბერლინში ,, . . . . . | 46,30 |
| პარიჟში ,, . . . . . | 37,50 |
| ბირჟის დისკონტი. . . . . | .5—6½% |
| 4% სახელმწიფო რენტა . . . | 99½ გაყ. |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. . . . | 99 |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. სადგ. მამულო ბანკისა . . . . | 95⅛ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგებ. ბილ. 1864 წ. | 445 მყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. . . | 336½ წვ. გაყიდ. |
| 5% გირავნ. ფურც. სა- სახელმ. სადგ.-მამ. ბანკისა. . . | 286¾ გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. . . . . . . | 94⅜ |
| 4½% ობლიგაც იმავე საზოგადოებისა. | — |
| 5% ტფილ. სადგ. მამ. ბანკისა გირავნ. ფურცლ. . . . | — |
| 5% გირავნობ ფურც. იმავე ბანკისა . . . . | 92½ წვ. გაყ. |
| 6% ქუთ. სა. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. . . . . . | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა . | — |
| პაიები ძმ. ნობელთა სანავთო მრეწვ. | 9500 გაყ. |
| აქციები. ,, ,, ,, | — |
| ,, კასპიის ამხანაგობისა. . | 3850 წვ. გაყ. |
| ,, ბაქოს ნავთის საზოგად. . . | — |
| ,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად. | 192½ მყიდ. |

## გამოსადეგი ცნობები.

### მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა.

18 აპრილიდგან.

(ნაჩვენებია ტფილისის საათით).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 10 ს. 37 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 6 ს. 18 წ. 3) სამგზავრო № 5 დილის 7 ს. 49 წ.

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 4 ს. 24 წ. 2) სათოსტო № 4 დილის 11 ს. 49 წ.; 3) სამგზავრო № 6 ღამის 11 ს. 32 წ.

ყარსსა და ერევანს: 1) სათოსტო № $74_{75}$ ღამის 12 ს. 30 წ.; 2) სამგზავრო № $90/_{91}$ შუაღლის 12 ს. 38 წ.

ბორჯომს: 1) სამგზავრო № $7/_{3}$ ნაშუადღევის 2 ს. 58 წ.; 2) სამგზავრო № $9/_{10}$ დილის 9 ს. 21 წ.

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № ღამის 11 ს. 22 წ., ჩამოდის ტფილისს დილით 9 ს. 42 წ. 2) სათოსტო № 4 საღამოს 10 ს. 21 წ., ჩამოდის ტფილისს დილის 11 ს. 8 წ., 3) სამგზავრო № 6 დილის 10 ს. 37 წ. ჩამოდის ტფილისს საღამოს 11 ს. 1 წ.

გ. ბაქოდგან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) დილის 4 ს. 40 წ. ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 51 წ. 2) სათოსტო № 3 საღამოს 10 ს. 16 წ., ტფილისს მოდის ნაშუადღევის 5 ს. 23 წ. 3) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 1 ს. ტფილისს მოდის დილის 5 ს. 5 წ.

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: ღამის 1 ს. 58 წ.; და დღის 2 ს, 23 წ.

ბათუმისაკენ; ღამის 1 ს. 58 წ.; დღის 8 ს. 23 წ.; დღის 4 ს. 48 წ.

შორაპნისაკენ: დღის 3 ს. 8 წ.

დაწესდა დღე და ღამ მორიგეობა ბებიაქალთა ქალაქის სამკურნალოში, რომელიც მუხრანის ქუჩაზეა და ცდგის საბებიო ინსტიტუტში.

ყველამ, ვისაც დასჭირდება ბებია-ქალი ორსულთა, მშობიარეთა და მელოგინეთა პირველ დახმარებისათვის, უნდა შეიტანოს ახლად დაარსებულ ბებია-ქალთა დამხმარებელ საზოგადოების სასარგებლოდ ერთი მანეთი.

### ტფილისის საზოგადო წიგნთ-საცავი

(მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

1 აპრილიდან 1 ოკდომბრამდე იღება 2 საათზე და იკეტება 6 საათზე შუადღის შემდეგ.

1 ოკდომბრიდან 1 აპრილამდე იღება 12 საათზე და იკეტება 5 საათზე შუადღის შემდეგ. წიგნთ-საცავში მრავალ რუსულ, ქართულ, სომხურსა და ევროპიულ წიგნებს გარდა, ადგილობრივი ჟურნალ-გაზეთობაც არის. მკითხველთათვის დიდი დარბაზია მოწყობილი. შესვლა უფასოა.

კვირა-უქმე დღეს წიგნთ-საცავი დაკეტილია; ზაფხულობითაც 15 აგვისტომდე დაკეტილია.

### კავკასიის მუზეუმი

მთავარ-მართებლის სასახლის პირდაპირ)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათს, პარასკევსა და კვირა დღეს, დილის 10 საათიდან 3 საათამდე. შესვლა ერთი აბაზია.

### პირუტყვთა სამკურნალო.

მის იმპერატორებითის უმაღლესობის დიდის მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძის სახელობაზედ დაარსებული პირუტყვთა მფარველი საზოგადოების საკუთარს სახლში, რიყის ქუჩაზე № 12, ტელეფონი № 536.

ავადმყოფ პირუტყვს სინჯავს ბეითალი კ. ა. ატრენოვი დილის 8 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5 საათიდგან 7-მდე. ამას გარდა სხვა ბეითლებიც რიგ-რიგად იმყოფებიან სამკურნალოში: ბეითალი ნ. ბრიუსი 1½-დგან 2-მდე და ა. არტემოვიჩი—4-დგან 5-მდე. სამკურნალოში არის ბაგა ავადმყოფ პირუტყვთათვის, სადაც დაეტევა 12 სხვილი და 28 წვრილი საქონელი, ანუ ფრინველი. სამკურნალო იღებს წამლობისათვის და რჩევისათვის თითო სულზე 20 კაპ. სამკურნალოში ოპერაციებსაც უკეთებენ პირუტყვებს.

ეტლების სიარული ტფილისსა და თელავს შორის.

მამულოვის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზედ. თელავიდგან ტფილისს ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი დახურ ეტლში 4 მან., კოზლაზედ—3 მან. (კანტორა იმყოფება ავლაბარში, კახეთის მოედანზე).

ეტლების სიარული ტფილისსა და სიღნაღს შორის.

აბოევის დილიჟანსი გადის ტფილისიდგან ყოველ დღე დილის 6 საათზე. სიღნაღიდგან ტფილისში ჩამოდის საღამოს 7 საათზე. ფასი კაცზე ვადიან დილიჟანსკი—4 მან., უვადოში—3 მან.

### საეკკლესიო მუზეუმი

(სიონის ტაძრის ეზოში)

დათვალიერება შეიძლება სამშაბათობით და ხუთშაბათობით 9—11 საათამდე და კვირაობით 10—1 საათამდე, ისაც სხვა დროსა სურს დათვალიერება, შეუძლიან მიმართოს მუზეუმის გამგეს—ბ-ნ მოსე ჯანაშვილს (მინკვიცის ქ. № 27)


# განცხადებანი

ქ უ თ ა ი ს შ ი

ს. მ. ბ. თოფურიას

**სამკურნალოში,**

რომელიც იმყოფება მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშე, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ სამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების ზენით და სულით ავადმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

**ტფილისის ქალაქის გამგეობა**

აცხადებს, რომ მის დარბაზში 3 ოკდომბერს ნაშუადღევის 1 საათზე დანიშნულია ვაჭრობა იჯარით გასაცემად ქალაქის ბორნისა, რომელიც მდ. მტკვარზეა გამართული მუხრანიანთა და რიყის ქუჩებ შორის. ვაჭრობის მსურველთ შეუძლიანთ განიხილონ პირობები გამგეობის კანცელარიის მეოთხე განყოფილებაში ყოველ საქმის დღეს, დილის 9 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. ბეჭედ დასმული კონვერტები მიიღება ვაჭრობის დაწყებამდე. ვაჭრობის მსურველმა უნდა წარადგინოს ბეჲ 1500 მანათი. რა ფასიდგან დაიწყება ვაჭრობა—ეს გამგეობაზეა დამოკიდებული.

# ხეხილის ნერგები

საზღვარ გარეთისა და ადგილობრივი, საუკეთესო ხარისხისა, იყიდება ზომიერ ფასად **ფარსადან იაკ. აგსარქისოვის** მამულში. ადრესი: უბრალო წერილებისათვის—**სკრა კავ. რკ.-გზის სადგური.** ხოლო ფულისა და „ზაკაზნოი“ წერილებისათვის: **ქ. გორში ფარ. იაკ. აგსარქისოვს.**

კატალოგები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ. (11—195—10)

# ყველა

ადვილად და პატიოსნურად იშოვოს თვეში 400 მანეთს. არც დიდი ცოდნაა საჭირო და არც ხარჯი, მხოლოდ **ჩქარა გამოგზავნეთ თქვენი ადრესი!** U. 111, an das Annoncen-Bureau des Merkur in Mannheim Meerfeldstrasse, 44. (50—29)

# კოკორი ანუ ანბანი

და პირველი საკითხავი წიგნი,

სახლობაში სახმარებელი, შედგენილი იაკობ გოგებაშვილის-მიერ, ახლად დაიბეჭდა წერა-კითხვის საზოგადოების-მიერ და ისყიდება ამ საზოგადოების მაღაზიაში. ფასი ორი შაურია ვინც ათზე ნაკლებს არ იყიდის, თითო წიგნი მიეცემა 8 კაპეიკად, ვინც ოცობით იყიდის, 7 კაპეიკად დაეთმობა წიგნი.

(6—5—6)


Дозволено цензурою, Тифлисъ, 27 сентября 1903 г. Типографія Е. И. Хеладзе Русскій базаръ, домъ армяно-григ. семинаріи დროებით-რედაქტორი გ. ყიფშიძე, გამომცემელი ა. სარაჯიშვილი.